

„აფხაზეთის პარლამენტი ყოფილი პრემიერის წინააღმდეგ“

ოკუპირებული აფხაზეთის პარლამენტი უკმაყოფილოა იმით, თუ როგორ შესრულდა 2017 წელს ბიუჯეტი და დე-ფაქტო პროკურატურას დაავალა, რომ ე.წ. მთავრობის მუშაობა შეამოწმოს. ეს დადგენილება დე-ფაქტო პარლამენტის სხდომაზე მიიღეს, და მას 30 დამსწრე ე.წ. დეპუტატიდან 25-მა უყარა კენჭი. ოკუპირებული აფხაზეთის პარლამენტში სულ 35 ადგილია.

ე.წ. დეპუტატები ეჭვობენ, რომ დე-ფაქტო მინისტრთა კაბინეტის მიერ „2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“, „კორუფციის აღკვეთის შესახებ“ და „მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ კანონი დაირღვა.

მთავარ პრობლემას ჯერჯერობითის წარმოადგენს, რომ 2017 წელს ბიუჯეტი მხოლოდ 94 პროცენტით შესრულდა და ამიტომ დე-ფაქტო პარლამენტარების უმრავლესობამ „2017 წელს აფხაზეთის რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ“ კანონპროექტის მიღების წინააღმდეგ მისცა ხმა.

შეიქმნება სამუშაო კომისია, რომელშიც სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლები შევლენ. კომისიის წინაშე დადგება ამოცანა, გაარკვიოს, თუ რატომ არ შესრულდა ბიუჯეტი, და როგორ უნდა დაისაჯონ ისინი, ვინც ამაში დამნაშავეა.

პასუხისმგებლობა, მათ შორის, შეიძლება ყოფილ დე-ფაქტო პრემიერ-მინისტრ ბესლან ბარციცსაც დაეკისროს.

10.05.2018 ხელმისაწვდომია რუსულენოვან ვებგვერდზე <http://ab-baza.ru/blog/parlament-abkhazii-protiv-byvshego-premjera-kotoryj-teper-vozglavil-administraciju-prezidenta-213.html>

„რაულ ხაჯიმბას შეხვედრა ვოლფგანგ მაკკესთან“

10 მაისს, ოკუპირებულ სოხუმში, რაულ ხაჯიმბა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ოკუპირებული აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ე.წ. ოფიციალურ წარმომადგენელს ვოლფგანგ მაკკეს შეხვდა.

შეხვედრაზე, ოკუპირებული აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ე.წ. პრეზიდენტმა თამილა მირცხულავამ დე-ფაქტო პრეზიდენტს წარუდგინა ვოლფგანგ მაკკე და ისაუბრა პალატის ე.წ. ოფიციალური წარმომადგენლობის საქმიანობაზე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. მისი თქმით, ე.წ. ოფიციალური წარმომადგენლობის მუშაობას მოაქვს დადებითი შედეგები და მაგალითად მოიყვანა ოკუპირებული აფხაზეთის მონაწილეობა ბერლინის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საერთაშორისო გამოფენაში „მწვანე კვირა“.

შეხვედრაზე, გერმანული დელეგაციის ერთერთმა წევრმა ე.წ. ინვესტორმა მიხაელ გოლდშმიტმა ისაუბრა თავის ბიზნეს გეგმებზე და განაცხადა, რომ აპირებს ოკუპირებული აფხაზეთის ეკონომიკის განვითარებაში შეიტანოს თავისი წვლილი და ამ მიზნით განახორციელოს ინვესტიციები.

თავის მხრივ, რაულ ხაჯიმბამ ხაზი გაუსვა მსოფლიო თანამეგობრობისთვის ოკუპირებული აფხაზეთის შესახებ „ობიექტური“ ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობას და დაამატა, „ჩვენთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკურ საკითხებში თანამშრომლობის განვითარება ევროპის ქვეყნებთან“.

ოკუპირებული აფხაზეთის შესახებ სანდო ინფორმაციის გავრცელებისა და პრეს-ტურების ორგანიზების პროექტის ფარგლებში, გერმანულ ე.წ. დელეგაციაში იმყოფებოდა ჟურნალისტი თომას ნელსი.

10.05.2018 ვრცლად იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე http://presidentofabkhazia.org/about/info/news/?ELEMENT_ID=7836

„ინალ ხაშიგი- საიდან უნდა მოიტანოს აფხაზეთმა მილიარდი?“

„შესაძლოა, გამოსავალი საქართველოსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის ვაჭრობის ლეგალიზება იყოს“, ამის შესახებ, თავის სტატიაში, JAMnews-ის ჟურნალისტი ინალ ხაშიგი საუბრობს.

ოკუპირებული აფხაზეთის პარლამენტი უკმაყოფილოა იმით, თუ როგორ შესრულდა 2017 წლის ე.წ. ბიუჯეტი და დე-ფაქტო პროკურატურას ე.წ. მთავრობის მუშაობის შემოწმება დაავალა, რომლის ანგარიშის მიხედვით, ე.წ. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებული მილიარდი ორასი მილიონი რუბლი (დაახლოებით \$19 მილიონი), ისევ მხოლოდ ქაღალდზე დარჩა.

ინალ ხაშიგის თქმით, ვერავინ იტყვის, საიდან უნდა მოიტანონ ეს მილიარდი – ვერც ახლა, და ვერც 2018 წლის ბოლოს, როდესაც ახალი ე.წ. ბიუჯეტის დამტკიცების დრო მოვა. იმიტომ, რომ მილიარდის საშოვნელად საჭიროა მკვეთრი, არაპოპულარული და თან ძალიან საპასუხისმგებლო ნაბიჯების გადადგმა. ასეთი ნაბიჯებისთვის კი, არც დე-ფაქტო მთავრობა და არც თითქმის ე.წ. ოპოზიციაში გადასული პარლამენტი მზად არ არის.

10.05.2018 ვრცლად იხ. <https://jam-news.net/?p=101466&lang=ka>

„აფხაზეთის სომხური თემი ქართულ მედიას გამიზნულ პროვოკაციაში ადანაშაულებს“

ოკუპირებული აფხაზეთის სომხური თემი რიგი ქართულ მედიასაშუალებების მიერ სომხეთის ახლადარჩეული პრეზიდენტის ნიკოლ ფაშინიანის განცხადების გამოქვეყნებას ეხმინება და ამას გამიზნულ პროვოკაციად მიიჩნევს. საუბარია ფაშინიანის მიერ ქართულ-აფხაზეთი კონფლიქტის დროს ბარგამიანის სახელობის ბატალიონის მონაწილეობის დაგმობაზე.

ოკუპირებული აფხაზეთის სომეხი თემის განცხადებაში ვკითხულობთ, „აქ საქმე გვაქვს დაგეგმილ აქციასთან, რომლის მიზანს აფხაზეთის რესპუბლიკაში შიდა პოლიტიკური ვითარების დაძაბვა წარმოადგენს. რაც შეეხება 1992–93 წლების ომში სომხების მონაწილეობას, გვსურს, განვაცხადოთ, რომ ჩვენ არ ვართ დაქირავებულები, როგორც სურთ, წარმოგვადგინონ. ჩვენ ვიცავდით სამშობლოს, ჩვენს სახლებს, ოჯახებს და ეს ჩვენი გააზრებული არჩევანი იყო. აფხაზეთის ხალხის ბრძოლა იყო სამართლიანი და ვამაყობთ იმით, რომ შევძელით საკუთარი წვლილის შეტანა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს საოკუპაციო ჯარების განადგურებაში. დღეს დამოუკიდებელი აფხაზეთის ძალოვანი სტრუქტურების რიგებში სომეხი ეროვნების ათობით ჯარისკაცი და ოფიცერი მსახურობს. ჩვენ ერთგულნი ვრჩებით ფიცისა, რომელიც რესპუბლიკა აფსნის მრავალეროვანი ხალხის წინაშე დავდეთ, კეთილსინდისიერად ვემსახუროთ სამშობლოს და საჭიროების შემთხვევაში კვლავაც დავდგებით მის დამცველთა რიგებში“.

11.05.2018 იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <http://www.apsnypress.info/news/armyanskaya-obshchina-abkhazii-my-verny-klyatve-dannoy-mnogonatsionalnomu-narodu-apsny-chestno-sluzh/>

„პოლიტიკურმა პარტიამ „ამცახარა“ ყრილობა დაგეგმა“

„ხელისუფლებამ ქვეყანა უფსკრულის პირას მიიყვანა“ განცხადეს ე.წ. პოლიტიკური პარტიის „ამცახარას“ პოლიტსაბჭოს გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც 15 მაისს ოკუპირებულ ქ. სოხუმში ჩატარდა.

ე.წ. სხდომა მიემდგნა ოკუპირებულ აფხაზეთში განვითარებულ მძიმე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას.

ე.წ. პოლიტსაბჭოს სხდომას ესწრებოდნენ ოკუპირებული რეგიონების პარტიის განყოფილებების ხელმძღვანელები.

ე.წ. პოლიტსაბჭოს სხდომაზე გამომსვლელებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ დე-ფაქტო ხელისუფლება ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს. კერძოდ, საუბარი იყო შიდა პოლიტიკის ჩავარდნაზე, დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ ოკუპირებული აფხაზეთის მართვის მიუღებელი მეთოდებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრი ვარდნის შესახებ.

ზემოაღნიშნული ნეგატიური პროცესების ფონზე, „ამცახარას“ ე.წ. პოლიტსაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, 2018 წლის 5 ივლისს, ოკუპირებულ სოხუმში ჩატარდეს ე.წ. პოლიტიკური პარტიის ყრილობა.

15.05.2018 იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <http://www.amsakhara.org/ru/events/901/>